



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N02

ქ. მარნეული

09.02.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
 საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გუჯეჯიანი, ვანო ბურნაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, დავით ხუციშვილი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, არსენ ახვერდიანი, ომარ ირიშოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

არ ესწრებოდა:

მამუკა ნავერიანი, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ფანგანი, ტარიელ მამედოვი, ილხამ გასანოვი, ნიკოლოზ მუმლაძე, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, ლევონ აკოპიანი, აშრაფ ტუკანოვი, როშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, აკამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები **ლაშა ლობჯანიძე და კენან ომაროვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ნინო დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი **რამაზი კარახმაზლი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები: **მარიამ კაპანაძე, ცოტნე ბოჭოიძე და ხოშგადამ ნოვრუზალოვა**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველები **თემურ შუბითიძე და ომარ ლუხუტაშვილი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტი **გელა შუბითიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები **ხელშეკრულებით თამაზ ბოჭოიძე, მარიამ ირიაული, გაბილ ხალილოვი, აგილ ამირჯანოვი და გიორგი ჩაჩანიძე**, მოქალაქეები: **შერმადინ ბოჭოიძე, დემნა მუმლაძე და მამუკა ბოჭოიძე**.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სტატისტიკის, ანალიტიკისა და აუდიტორული მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
8. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მაისის №23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 03 თებერვლის N32-3221034227 წერილის განხილვის შესახებ.
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 24 იანვრის N07-322102415 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
11. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
12. სოციალური საკითხები.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 08 თებერვლის N32-3221039162 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N02. 09.02.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 04 თებერვლის N32-3221035166 წერილით შემოსული განკარგულების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მაისის №23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N02. 09.02.2021 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 03 თებერვლის 32-3221034227 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული სუბსიდიის ფარგლებში, მოახდინოს მარნეულისა და ჰუჯაბის ექარქიის 100 000 ლარით დაფინანსება ზემოაღნიშნული დადგენილების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. დაფინანსების მოთხოვნის დროს, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი წესის დამტკიცებამდე, გადარიცხვა განხორციელდეს წინასწარი ჩარიცხვის პირობებით, ანგარიშსწორებისათვის გაწეული უნდა იქნეს ხარჯების მიმართულება და შემდგომი მოთხოვნისას კი წარმოდგენილი იქნას დამატებით, უკვე გაწეული ხარჯების შესაბამისი სათანადო დოკუმენტაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N03. 09.02.2021 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 25 იანვრის N32-3221025179 და 2021 წლის 08 თებერვლის N32-3221039157 წერილებით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 24 იანვრის N07-322102415 და 2021 წლის 07 თებერვლის N07-32210384 მოხსენებითი ბარათებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ს.ს „პეგასი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, სიტუაციურ ნახაზზე მითითებულ ადგილებზე, საგზაო ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“-ს დადგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N05. 09.02.2021 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N04. 09.02.2021 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე